წესები და პირობები

წინამდებარე წესები და პირობები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არეგულირებს შპს „ბაზისი“-ს (შემდგომში „კომპანია/მიმწოდებელი“) და მომხმარებელს შორის ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა კომპანიის ვებ-გვერდის საშუალებით პროდუქციის ან/და მომსახურების შეძენის, საგარანტიო პირობების შესრულების ან/და კომპანიის მიერ მომხმარებლისთის განკუთვნილი შეთავაზებების გადაცემის დროს.

წესებზე და პირობებზე ხელმოწერით, „მომხმარებელი“ ადასტურებს, რომ გაეცნო შეთანხმების პირობებს და გამოხატავს თანხმობას, ‘მომხმარებლის“ მიერ „კომპანიის“ ნებისმიერი სახის საქონლის ან/და მომსახურების შეძენის შემთხვევაში, იმოქმედებს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული პირობები.

მომხმარებელი უფლებამოსილია, ნების თავისუფლების საფუძველზე, უარი განაცხადოს წარმოდგენილ წესებსა და პირობებზე, რაც ნიშნავს მომსახურებით სარგებლობაზე უარის თქმას.

წინამდებარე პირობებზე ხელმოწერით „მომხმარებელი“ აცხადებს თანხმობას, რომ „კომპანიის“ მიერ განხორციელდეს მისი რეგისტრაცია „კომპანიის“ ბიზნეს პროცესების მართვის სისტემის სამომხმარებლო ბაზაში. რეგისტრაცია გულისხმობს ელექტრონულ სისტემაში „მომხმარებლის“ წინამდებარე შეთანხმებაში განსაზღვრული პერსონალური მონაცემების ასახვას.

პერსონალური ინფორმაცია, რომელსაც კომპანია მომხმარებლისგან ან მესამე პირებისგან მოიპოვებს, მუშავდება წინამდებარე წესებში და კომფიდენციალურობის პოლიტიკაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

წინამდებარე წესებისა და პირობების დაცვით, მომხმარებელი აფორმებს შეკვეთას, ხოლო კომპანია მას გადასცემს შეთანხმებულ პროდუქციას შეთანხმებული საზღაურის სანაცვლოდ.

მომხმარებელი სისტემაში რეგისტრირდება წინამდებარე პირობების შესაბამისად.

რეგისტრაციის დასრულებით და შესაბამისი ველების შევსებით დასტურდება, რომ „მომხმარებელი“ გაეცნო და დაეთანხმა წინამდებარე პირობებს და წარმოეშვა მასში გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

წინამდებარე წესებსა და პირობებზე თანხმობით მომხმარებელი აცხადებს, რომ:

არის 18 წელს მიღწეული ფიზიკური პირი;

გააჩნია სრული (შეუზღუდავი) ქმედუნარიანობა, არ იმყოფება ნარკოტიკული, ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ; არ იმყოფება თაღლითობის, ზეწოლის, მუქარის ან ნებისმიერი სხვა მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ქვეშ; არ წარმოადგენს ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომაში შეყვანის ან სხვა აკრძალული ქმედების ობიექტს და სრულად აცნობიერებს საკუთარი ნების გამოხატვის შინაარსს, პირობების დებულებათა არსს და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებს;

მომხმარებელს აქვს სრული უფლებამოსილება, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ამ პირობებით ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

მის მიერ წარმოდგენილი ყველა მონაცემი არის ზუსტი და უტყუარი;

მომხმარებელი არ მონაწილეობს არცერთი იურისდიქციის კანონმდებლობით (რაც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობას და იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომლის მოქალაქეც არის მომხმარებელი) გათვალისწინებულ რაიმე სახის უკანონო საქმიანობაში, მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ტერორიზმსა და სხვა სახის უკანონო ქმედებაში;

პირადი ანგარიშის გახსნისას და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მისი საქმიანობა ან/და ქმედება შესაბამისობაში არის/იქნება ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კანონმდებლობასთან;

მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული კომპანიის ან/და ნებისმიერი მესამე პირის/მხარის მოტყუებისკენ.

იგი კეთილსინდისიერად, სრულად და ჯეროვნად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს;

თანახმაა, ეფექტური მომსახურების გაწევისა და შეთავაზების მიზნით, პირადი ანგარიშის გახსნის შემდეგ, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ალტამ მოიძიოს/გადაამოწმოს და დაამუშავოს მომხმარებლის მიერ მითითებული პერსონალური ინფორმაცია ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი უნივერსალური იდენტიფიკატორი;

1. ვებ-გვერძე რეგისტრაცია

ვებგვერდზე პირადი ანგარიშის გახსნისა და ონლაინ მომსახურებით სარგებლობისთვის მომხმარებელი ვალდებულია, გაეცნოს მოცემულ წესებსა და პირობებს და დაეთანხმოს მათ;

მომხმარებელი ვალდებულია, უსაფრთხოდ შეინახოს პირად ანგარიშზე წვდომისთვის საჭირო მონაცემები და არ გადასცეს მესამე პირებს;

მომხმარებელი იღებს სრულ პასუხისმგებლობას მისი ანგარიშით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე. კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას იმ ზიანზე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას მესამე პირის მიერ, ვებგვერდის ანგარიშზე წვდომის შედეგად.

იმ შემთხვევაში თუ კლიენტს გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი, რომ მისი პირადი ანგარიშის პაროლი ან უსაფრთხოების სხვა წვდომის კოდ(ებ)ი იქნა მოპარული, დაკარგული, უკანონოდ მითვისებული, უნებართვოდ გამოყენებული ან სხვაგვარად მითვისებული, მომხმარებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეცვალოს პაროლი და დაუკავშირდეს კომპანიის მარებელთა მომსახურების ცენტრს ტელ: +995 579 803 803, ელ. ფოსტაზე: info@bazisi.ge

მომხმარებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მის პირად ანგარიშზე არსებული ინფორმაციის სიზუსტე და მისი განახლება. კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი მომხმარებლის მიერ აღნიშნული

ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზიანზე. კომპანია უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, მოითხოვოს მომხმარებლისგან ინფორმაციის სისწორის დადასტურება ან დოკუმენტების ან სხვაგვარი მტკიცებულების წარმოდგენა, უარის შემთხვევაში კი გააუქმოს ვებგვერდის ანგარიში;

2. შეკვეთის განხორციელება

მომხმარებლის მიმართვის შემთხვევაში მომხმარებელსა და კომპანიას შორის წარმოიშობა სახელშეკრულებო ურთიერთობა.

მომხმარებელს უფლება აქვს კომპანიის პროდუქცია ან/და მომსახურება შეიძინოს კომპანიის მიერ შეთავაზებული საშუალებებით, კერძოდ:

კომპანიის სერვის-ცენტრებში მიმართვის გზით,

კონპანიის ვერ.გვერდიდან შეკვეთის განხორციელების გზით,

შეკვეთის განხორციელების შემთხვევაში მომხმარებელი ირჩევს მისთვის სასურველ პროდუქციას და გამოხატავს მისი შესყიდვის ნებას, რასთან დაკავშირებითაც დგება შესაბამისი ინვოისი.საქონლის შეძენის შემთხვევაში „კომპანია“ უფლებამოსილია საქონლის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი „მომხმარებელს“ გადასცეს ამობეჭდილი ფორმით ან გაუგზავნოს ელექტრონულად „კომპანიის“ სამომხმარებლო ბაზაში რეგისტრირებულ „მომხმარებლის“ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნის გზით. „მომხმარებელი“ უფლებამოსილია საქონლის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ელექტრონული ფორმით წარდგენის სანაცვლოდ, მოითხოვოს აღნიშნული დოკუმენტის ამობეჭდილი ვერსიის გაცემა.

3. გადახდა

პროდუქციის შესყიდვაზე ნების გამოხატვის შემდეგ მომხმარებელი იხდის პროდუქციის შესაბამის საფასურს.

თუ მომხმარებელი გამოხატავს სურვილს საკურიერო სერვისით სარგებლობის, პროდუქციის საფასურს დაემატება მიწოდების საფასური, რომელიც განისაზღვრება ცალკეული პროდუქციის ტიპითა და მომხმარებლის მიერ მითითებული მისამართის გათვალისწინებით.

4. საქონლის მიწოდება

მომხმარებლის მიერ შეკვეთის გაფორმებისა და ღირებულების გადახდის შემდეგ, კომპანია ვალდებულია, გადასცეს მომხმარებელს შეთანხმებული პროდუქცია;

მომხმარებელი შეკვეთის გაფორმებისას ირჩევს შეკვეთის მიწოდების მეთოდებიდან ერთ-ერთს და აფიქსირებს მას ვებგვერდზე (სატელეფონო შესყიდვის შემთხვევაში - ზარის განხორციელებისას). მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს შემდეგი მეთოდები:

მომხმარებლის მიერ საკუთარი ხარჯებით პროდუქციის გატანა ნივთის გაცემის პუნქტიდან;

მიწოდება მომხმარებლის მიერ განსაზღვრულ მისამართზე. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია, მიუთითოს მისამართი სათანადო გრაფაში;

თუ მომხმარებელი აირჩევს პროდუქციისთავად გატანის ფუქნციას იგი ვალდებულია გაიტანოს პროდუქცია შეკვეთის გაფორმებიდან/კომპანიის მიერ დადასტურებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თუ მომხმარებელი აირჩევს, რომ პროდუქცია მას მიეწოდოს მომხმარებლის მიერ მითითებულ მისამართზე, კომპანია საკურიერო მომსახურების გამოყენებით,საქართველოს მასშტაბით, მომხმარებლის მიერ მითითებულ მისამართზე მიაწვდის შეკვეთილ პროდუქციას, მომხმარებლის მიერ შეკვეთის განხორციელებიდან არაუგვიანეს 3-7 (სამი-შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.

მიწოდების დროსთან დაკავშირებით, მომხმარებელს წინასწარ უკავშირდება კურიერი და უთანხმდება მიტანის დროზე სატელეფონო საუბრის გზით. იმ შემთხვევაში, თუკი შეთანხმებულ დროს მომხმარებელი მიმწოდებლის კურიერს არ დახვდება მითითებულ მისამართზე, მომხმარებელი ჩაბარების მცდელობის ყოველი მომდევნო ანალოგიური შემთხვევისას, რის შესახებაც წინასწარ ეცნობება მომხმარებელს, დამატებით აანაზღაურებს საკურიერო მომსახურების საფასურს.

თუ მომხმარებელისათვის პროდუქციის გადაცემის 3 (სამი) მცდელობა უშედეგოდ დასრულდება, მაშინ მომხმარებელი ვალდებულია, გაიტანოს ნივთი თავისი ხარჯით ნივთის გაცემის პუნქტიდან 2 (ორი) დღის ვადაში იმ დღიდან, როცა მიმწოდებელი შეატყობინებს კლიენტს მიწოდების მე-3 უშედეგო მცდელობის შესახებ და ამასთანავე, გადაიხადოს უშედეგო მიტანის საფასური.

თუ მომხმარებელი არ შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებას, ნივთის მიწოდების შეუძლებლობის შემთხვევაში კომპანიას უფლება აქვს გააუქმოს შეკვეთა და მომხმარებელს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი თანხა უშედეგოდ განხორციელებული მიტანის საფასურის გამოკლებით.

მომხმარებელი პასუხისმგებელია მის მიერ სწორი მისამართის მითითებაზე. თუ მომხმარებელი მიუთითებს არასწორ მისამართს და, შესაბამისად, კურიერი მიწოდებას განახორციელებს არასწორ მისამართზე, მომხმარებელს დაეკისრება, როგორც მითითებულ მისამართზე, ასევე სწორ მისამართზე მიტანის ხარჯების გადახდის ვალდებულება.

შეკვეთა დასრულებულად ითვლება ნივთის მომხმარებლისთვის ჩაბარებისთანავე.

მომხმარებელი ვალდებულია, შეკვეთის მიღებისას მოახდინოს მიწოდებული პროდუქციის შემოწმება და ვიზუალური ნაკლის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დააფიქსიროს პრეტენზია მიმწოდებელთან.

იმ შემთხვევაში, თუკი მიწოდებული პროდუქცია განსხვავდება მომხმარებლის მიერ შეკვეთილი პროდუქციისაგან კომპანიის ბრალით, კომპანია ვალდებულია საკუთარი ხარჯით მიაწოდოს მომხმარებელს შეკვეთილი პროდუქცია და აანაზღაუროს მიწოდების ხარჯი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიწოდებული პროდუქცია არ შეესაბამება მომხმარებლის სურვილს მომხმარებლის ბრალით (მაგალითად, მომხმარებლის შეცდომის შემთხვევაში), მომხმარებელი ვალდებულია დამატებით გადაიხადოს განმეორებითი ტრანსპორტირების ღირებულება. გადასახდელი თანხა ასევე შეიცვლება იმ პროდუქციის ღირებულებათა სხვაობის მიხედვით, რომელიც მომხმარებელმა შეუკვეთ და რომლის შეკვეთაც მომხმარებელს სურდა.

მოვაჭრე ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში გადასცეს დამკვეთს შეკვეთასთან დაკავშირებული ყველა საბუთი.

5. პერსონალური მონაცემები

წინამდებარე პირობების შესაბამისად მომხმარებელი აცხადებს თანხმობას, რომ მისი პერსონალური ინფორმაცია მიიღოს და კანონის შესაბამისად დაამუშავოს კომპანიამ, თავის მხრივ კომპანია იღებს ვალდებულებას უზრუნველყოფს კომპეტენციის ფარგლებში და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე „მომხმარებლის“ პერსონალური მონაცემების დაცვა.

მონაცემები კომპანია დაამუშავებს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად;

მონაცემები შეგროვდეს/მოპოვებული იქნება მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის;

მონაცემები დამუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და იქნება მ იმ მიზნის თანაზომიერი, რომლის მისაღწევადაც ისინი მუშავდება;

კომპანიის მიერ შემუშავებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პოლიტიკას შეგიძლიათ გაეცნოთ:

მოვაჭრის დასახელება: შპს „ბაზისი “
საიდენტიფიკაციო კოდი: 402191007
მისამართი: : ქ. თბილისი, გმირი კურსანტების #2
ელ-ფოსტა: info@bazisi.ge
ტელეფონის ნომერი: +995 579 803 803